



ქ. თბილისი

„30“ სექტემბერი „2015 წელი

ბრძანება № 01-53

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისათვის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “ნ“, ქვეპუნქტის, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 24 სექტემბრის სხდომის (ოქმი N 8) და წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის სხდომის (ოქმი N 4) დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური (დანართი №1) და ადმინისტრაციული პერსონალის (დანართი-2) დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების გაცემის თანდართული წესი.
2. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს, აკადემიური პერსონალის მიერ თავის ვალდებულებათა სრულფასოვნად შესრულების მიზნით, აკადემიური დატვირთვით (სააუდიტორიო საათები), უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყონ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.
3. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირებს, რომლებსაც ამავდროულად უკავიათ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა (გარდა რექტორისა), გაუნახევრდეთ აკადემიური დატვირთვა და მიეცეთ შესაბამისი ანაზღაურება.

5. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც ამავდროულად არის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, დაუშვებელია გამწესდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე.
6. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
7. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურების გაცემის წესი ამოქმედდეს 2015 წლის 1 ოქტომბრიდან.
8. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება დაეგზავნოს უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებსა და მართვის ორგანოებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე რექტორი,

პროფესორი



ჯემალ მაგანია